ასერტული ქცევის და ემოციური გადაწვის კვლევა მასწავლებლებში

ლია ჭყონია

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე, განათლების ფსიქოლოგიის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

ფსიქოლოგია

სამეცნიერო ხელმძღვანელი:პროფესორი მარინე ჯაფარიძე

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი 2014

აბსტრაქტი

მასწავლებელთა ასერტულობის შესწავლა ბოლო ოცწლეულის აქტუალური საკითხია.ასერტული მოდელი განვითარდა 70-იანი წლებში, როცა მსოფლიოში უფრო და უფრო მეტი ყურადღება ეთმობოდა დემოკრატიულ ღირებულებებს და თანამშრომლობით მიდგომებს. ასერტულობა ნიშნავს პასუხისმგებელი იყო შენს ქცევაზე, ავლენდე პატივისცემას საკუთარი თუ სხვების მიმართ, პოზიტიურობას, მოსმენის უნარს და კომპრომისის მიღწევას (Fritchie, 1990).ასერტული დისციპლინა არის კლასის მართვის მოდელი, რომელიც ხაზს უსვამს თანმიმდევრულობას, დაჯილოებებს და დასჯას, ყურადღება გამახვილებულია პოზიტიური ურთიერთობების აგებაზე. ამ მიდგომას ერთ-ერთი მთავარი ადგილი უკავია პედაგოგიური ურთიერთობების სტილთა შორისაც. წინამდებარე ნაშრომის მიზანი სწორედ ასერტულობის კვლევაა საქართველოს რეგიონებში მომუშავე მასწავლებლებთან- რამდენად ახასიათებთ მათ ამ ტიპის ქცევები. ასევე ვიკვლიეთ არის თუ არა მასწავლებელთა საქმიანობისთვის დამახასიათებელკიდევ ერთ ფაქტორთან -ემოციური გადაწვასათან მისი კოლერაცია.

კვლევაში მონაწილეობა მიიღო იმერეთის რეგიონის 91 მასწავლებელმა (84 ქალი და 7 კაცი). მათი ასაკი 25 - 73 წლის ფარგლებში მერყეობდა.

კვლევის შედეგად დადგინდა რომ კვლევაში მონაწილე მასწავლებლებს ყველაზე მეტად ახასიათებთ პასიური ქცევა, გამოკითხულთა ნახევარი განიცდის პროფესიულ გადაწვას ან მისი დადგომის რისკის ქვეშ არიან.

კვლევის შედეგად ასევე გამოვლინდა შემდეგი მიმართებები:

ასაკის მატებასთან ერთად მასწავლებლები უფრო მეტად ავლენენ პასიურ ქცევას. პრაქტიკის დასაწყისშიახალბედა მასწავლებლები უფრო ავლენენ ასერტულ ქცევას ვიდრე სტაჟის მქონენი. იკვეთება ტენდენცია- რაც უფრო გადაღლილია მასწავლებელი მით უფრო პასიურია მისი ქცევა.საბაზო და საშუალო საფეხურზე მომუშავე მასწავლებლები უფრო ავლენენ ასერტულ ქცევას, ვიდრე მათი კოლეგები რომლებიც მუშაობენ დაწყებით კლასებში. ასერტული მასწავლებლები ორჯერ მეტად არიან ემოციური გადაწვის რისკის ქვეშ პასიურ მასწავლებლებთან შედარებით.